თბილისელთა უპირატესობით

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 22 აგვისტო.

“ტორპედო” (ქუთაისი) _ “დინამო” (თბილისი) 1:3 (0:1).

“ტორპედო”: ურუშაძე, ბზიკაძე, თორაძე, ცხოვრებოვი, ნიშნიანიძე, სიამაშვილი, ხაჟალია, მიროშნიკოვი, სირაძე, ჟორდანია, ზარდანია (ბულია).

“დინამო: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი.

მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

გუშინდელი მატჩი საქართველოს ორ წარმომადგენელს შორის “ა” კლასში დაიწყო თბილისელთა იერიშებით და უკვე პირველ წუთებზევე მასპინძელთა მეკარეს ურუშაძეს ძნელი ბურთის აღება მოუხდა გ. სიჭინავასაგან. მართალია, ტორპედოელებსაც ჰქონდათ კონტრიერიშები, მაგრამ ეს ძირითადად ეპიზოდური მოვლენები იყო. კერძოდ, მე-15 წუთზე სირაძემ მეტად სახიფათო პოზიციიდან დაარტყა და კოტრიკაძეს მთელი თავისი ოსტატობის ჩვენება დაჭირდა კარის სახსნელად.

მე-19 წუთზე ბარქაია კარგად გავიდა ფლანგიდან და კარის წინ ჩააწოდა, სადაც წამით თავისუფალი აღმოჩნდა მელაშვილი. მან საკმაოდ ძნელი მდგომარეობიდან გახსნა ანგარიში _ 1:0. თბილისელებმა ეს მინიმალური უპირატესობა შეინარჩუნეს ტაიმის დასასრულამდე, თუმცა კალოევმა და იამანიძემ ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები. რაც შეეხება, ქუთაისელებს, მათი თავდამსხმელის, ჟორდანიას მიერ დარტყმული ბურთი სულ მცირე მანძილით აცდა მიზანს.

მეორე ბურთი გატანილ იქნა კვლავ ბარქაიას გარღვევის შემდეგ 51-ე წუთზე. მისი დარტყმა მოიგერია თორაძემ, მაგრამ კალოევმა კარგად გამოიყენა შექმნილი ვითარება და მეორედ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში _ 2:0.

მესამე გოლი დინამოელებმა გაიტანეს შუა მინდორში გათამაშებული კომბინაციის შედეგად: გ. სიჭინავამ ბურთი გადასცა ზეინკლიშვილს და ამ უკანასკნელმა დაახლოებით 20 მეტრიდან გაგზავნა იგი კარში _ 3:0.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქუთაისელებმა თავი დააღწიეს “მშრალ” ანგარიშს. მათმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სირაძემ მოულოდნელი დარტყმით გაიტანა ერთადერთი საპასუხო ბურთი და დინამოელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი _ 3:1.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს ტორპედოელებმა _ 4:2.

ლ. ფაჩუაშვილი.
“ლელო”, 23 აგვისტო, 1962 წ.